

განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში  
ცვლილებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების შეუსაბამობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის ნორმებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის ძალაში შესვლის შემდგომ ლიკვიდირებულია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტით „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ ნორმებიდან ამოღებულია ჩანაწერები: „ადგილობრივი მმართველობა“ და „ადგილობრივი მმართველობის ორგანო“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

